# ხელშეკრულება
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 4/99

ქ. თბილისი 28 დეკემბერი, 2011 წელი

შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2011 წლის 28 დეკემბრის N 22/11-01/5143 წერილის შესაბამისად.

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „დემარკ" (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ აბრამიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" ბიუჯეტის სახსრებით (საკუთარი შემოსავლები), დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა (CPV კოდი 71300000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტის ტექნიკური დავალება მოცემულია დანართის სახით, თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი).

### 2. ხელშეკრულების ერთეულის და საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 38137,5 (ოცდათვრამეტი ათას ას ოცდაჩვიდმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

### 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

### 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2011 წლის 29 დეკემბრისა, უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება შემსყიდველისათვის.

4.3 მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ათონელის # 27 (სანაპიროს მხრიდან).

### 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" თანამშრომლები: პ. გაფრინდაშვილი, გ. გაგოშიძე, დ. ტყეშელაშვილი, ქ. დარჩია.

### 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ხელშეკრულების ობიექტის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, არაუგვიანეს 2011 წლის 31 დეკემბრისა.

### 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| სსიპ „საქართველოს კულტურული<br>მემკვიდრეობის დაცვის<br>ეროვნული სააგენტო“<br>მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5<br>სახელმწიფო ხაზინა<br>კოდი: 220101222<br>ა/ა № 200122900<br>ს/კოდი: 204562311 | შპს „დემარკი“<br>მის: ქ. თბილისი,<br>ბალანჩივაძის 39<br>სს „ბანკი რესპუბლიკა“<br>კოდი: REPLGE22<br>ა/ა 3608106360<br>ს/კოდი # 205196759 |
| **გენერალური დირექტორი** | **დირექტორი** |
| ნიკოლოზ ვაჩეიშვილი | ვლადიმერ აბრამიშვილი |

## საპროექტო დავალება

## დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი

### ❖ *ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები*

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობების მოვლა-პატრონობა და მათი შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სახელმწიფოს განვითარების პროცესში. ჩასატარებელი სამუშაოებით მოხდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რეაბილიტაციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება და სიძველესთან თავსებადი ინფრასტრუქტურის შექმნა.

### ❖ საპროექტო სამუშაოები უნდა ემსახურებოდეს შემდეგი ძირითადი მიზნების მიღწევას:

- უნიკალური ძეგლის შენარჩუნებითა და მასთან თავსებადი ინფრასტრუქტურის განვითარებით ხელი შეუწყოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საზოგადოებრივი და ტურისტული პოტენციალის ამოქმედებას;
- ძეგლის კომპლექსური შესწავლა-შეფასებითა და ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენით შეუქმნას წინაპირობა ფიზიკური სამუშაოების განხორციელებას.

### ❖ *ძირითადი პირობები*

მიმწოდებელი ვალდებულია გაითვალისწინოს შემსყიდველის შენიშვნები და წინადადებები, რაც შემდგომში საფუძვლად დაედება შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებას.

შესრულებული სამუშაო შემსყიდველს წარედგინება ოთხ ეგზემპლარად: ელექტრონული ვერსია – კომპაქტური დისკებისა (CD) და მყარი ასლების სახით (4), ტექსტური და გრაფიკული მასალის დოკუმენტირებით.

### ❖ *პროექტი უნდა ითვალისწინებდეს შემდეგი ობიექტების მოწყობას დავითის ლავრის მიმდებარე ტერიტორიაზე:*

1. ავტოსადგომი;
2. სუვენირებისა და საეკლესიო ნივთების მაღაზია;
3. ტურისტული საინფორმაციო სივრცე;
4. საექსპოზიციო-საინტერპრეტაციო სამუზეუმო სივრცე;
5. კაფე;
6. საზოგადოებრივი ტუალეტები (დასაშვებია ჩამოთვლილ ფუნქციათა ერთ მოცულობაში მოქცევა);
7. მონასტრის სამეურნეო ნაგებობა (ფერმა).

❖ **დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან:**

1. განმარტებითი ბარათი;
2. საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა – მ. 1:2000 ან 1:1000;
3. ტოპოგრაფიული გეგმა – მ. 1:500;
4. სისტემატიზირებული ფოტომასალა: საპროექტო ობიექტის საერთო ხედები, ფასადები, ინტერიერი;
5. კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა;
6. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება (გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შეფასება, სინჯების ლაბორატორიული ანალიზი, ანალიზის შედეგების დამუშავება და დასკვნების მომზადება); ანგარიშს თან უნდა ახლდეს ლითოგრაფიული ჭრილები, არქეოლოგის ხელმოწერით დადასტურებული შურფების განლაგების სქემა;
7. არქიტექტურული ნაწილი: განმარტებითი ბარათი (პრობლემების გადაჭრის გზები და მეთოდოლოგიის დასაბუთება); გენერალური გეგმა – მ. 1:200; სამუშაო ნახაზები (მ. 1:100, 1:50), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);
8. კონსტრუქციული ნაწილი: განმარტებითი ბარათი, სამუშაო ნახაზები (მ. 1:100, 1:50, 1:25), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);
9. ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტი მ. 1:200, სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი).
10. სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი სამუშაოს ჩატარების კალენდარული გრაფიკით;
11. ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა.

დოკუმენტაცია (ყველა ფურცელი) უნდა იყოს დადასტურებული შემსრულებლ(ებ)ის მიერ ხელმოწერებით. სატიტულო ფურცელი უნდა იყოს დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდითა და ხელმძღვანელის/უფლებამოსილი პირის ხელმოწერ(ებ)ით.

❖ **შემსყიდველისთვის გადასაცემი საბოლოო პროდუქცია**

წარმოდგენილი პირობების ფარგლებში შემსრულებლმა საბოლოო პროდუქციის სახით დამკვეთს უნდა გადასცეს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია.

❖ **საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობისას უნდა მოხდეს**

კულტურული მემკვიდრეობის .ძეგლის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გრაფიკული მასალა უნდა მომზადდეს ციფრულ ფორმატში.

❖ სამუშაოთა საბოლოო მიღება

მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველს სამუშაოთა დასრულების შესახებ. შემსყიდველი ამოწმებს დასრულებულ სამუშაოთა მოცულობას. თუ შემსყიდველმა სამუშაოები შეაფასა წუნით, დასრულებულად ჩაითვლება სამუშოები დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ. სამუშაოების მიღებას შემსყიდველის მხრიდან აწარმოებს ინსპექტირების ჯგუფი.